



საინფორმაციო სამედიცინო-
ფსიქოლოგიური ცენტრი
თანადგომა

წლიური ანგარიში 2020



თბილისი, საქართველო

სარჩევი

შემოკლებები	3
თანადგომას გამგეობის თავმჯდომარის მიმართვა	4
თანადგომას აღმასრულებელი დირექტორის მიმართვა.....	5
შესავალი	7
მიმდინარე პროგრამები.....	9
შედეგები სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით.....	11
სტრატეგიული მიზანი 1:.....	11
სტრატეგიული მიზანი 2	26
სტრატეგიული მიზანი 3	30
ფონდების მოძიება	32
COVID-19-ის პანდემიის გავლენა თანადგომას მუშაობაზე	33
ორგანიზაციული პასუხი პანდემიაზე	33
2020 წელს COVID-19-ის საპასუხოდ განხორციელებული პროექტები	33
პარტნიორობა და ქსელური მუშაობა.....	35
ორგანიზაციის 2020 წლის ფინანსური ანგარიში.....	37

შემოკლებები

აივ - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი

დკსჯეც - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

ინმ - ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები

კსმქ - კომერციული სექს-მუშაკი ქალი

ლგბტ(ქი) – ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანს (ქვიარ, ინტერსექსი)

მსმ – მამაკაცი, რომელსაც სექსი აქვს მამაკაცთან

ნკტ – ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება აივ ინფექციაზე

სგგი – სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები

სრჯუ – სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები

შიდსი – შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი

AFEW – შიდსის ფონდი აღმოსავლეთი-დასავლეთი

AHF – შიდსის ჯანდაცვის ფონდი

ECOM – მამაკაცთა ჯანმრთელობის ევრაზიის კოალიცია

EKHN – ევრაზიის საკვანძო პოპულაციების ჯანმრთელობის ქსელი

EMC – ადამიანის უფლებების განათლებისა და მონიტორინგის ცენტრი

RFSU – სექსუალური განათლების შვედური ასოციაცია

UNFPA – გაეროს მოსახლეობის ფონდი

WEEPI - აივ-ის, ვირუსული ჰეპატიტებისა და ტუბერკულოზის დასავლეთ-აღმოსავლეთ

ევროპული პარტნიორობის ინიციატივა

თანადგომას გამგეობის თავმჯდომარის მიმართვა



ძვირფასო კოლეგებო,

2020 წელს კორონავირუსის (COVID-19) პანდემიამ მოიცვა მსოფლიო და უზარმაზარი გამოწვევების წინაშე დააყენა ჯანდაცვის სისტემები, ადამიანის უფლებები, ეკონომიკა და ზოგადად ადამიანების ცხოვრების წესი. პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა პირდაპირი გავლენა იქონია სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების გარემოზე, შემოსავალზე, საცხოვრისზე, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

წინამდებარე ანგარიში ასახავს თანადგომას მიერ გაწეულ შრომას და იძლევა ინფორმაციას ორგანიზაციის მიერ 2020 წლის განმავლობაში მიღწეულ შედეგებზე. მინდა, მაღლობა გადავუხადო პროგრამულ და ტექნიკურ პერსონალს, ასევე ასოციაციის ყველა წევრს წარმატებული მუშაობისა და თანამშრომლობისათვის.

განსაკუთრებული მაღლობა აღმასრულებელ დირექტორს და ადმინისტრაციულ შტატს მათი მოქნილობისთვის და პროგრამებისა და პროექტების სამაგალითო მართვისათვის, განსაკუთრებით პანდემიის ჟამს.

დაბოლოს, მაღლობას მოვახსენებ ჩვენს დონორებსა და პარტნიორ ორგანიზაციებს. ჩვენ ვერ შევძლებდით აღნიშნულ წელს ჩვენი მიზნების მიღწევას თქვენი მუდმივი მხარდაჭერისა და ნდობის გარეშე.

პატივისცემით,

ლელა კურდელაშვილი
გამგეობის თავმჯდომარე

თანადგომას აღმასრულებელი დირექტორის მიმართვა



ძვირფასო მეგობრებო, კოლეგებო და პარტნიორებო, მოხარული ვარ, წარმოგიდგინოთ „საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომას“ 2020 წლის მუშაობის ანგარიში.

როგორც ნახავთ წინამდებარე ანგარიშში, მიუხედავად გლობალური პანდემიისა და მასთან დაკავშირებული გამოწვევებისა, რომლებსაც თანადგომა უმკლავდებოდა ამ არასტაბილური წლის განმავლობაში, ჩვენი ორგანიზაციამ მაინც მოახერხა დაგეგმილი აქტივობების უმრავლესობის განხორციელება. ეს მთელი ორგანიზაციის, მისი თითოეული წევრის ერთობლივი ძალისხმევითა და კოორდინაციის დამსახურებაა, და ამისათვის ყველას მინდა მადლობა გადაუხადო!

ზოგიერთი ჩვენი მიღწევა, რომლებსაც მინდა, ხაზი გავუსვა, შემდეგია:

- ჩავატარეთ რამდენიმე საინტერესო კვლევა სრულ თემატიკაზე, ისევე, როგორც COVID-19-თან დაკავშირებულ საკითხებზე;
- დავიწყეთ საქართველოში სექსუალური განათლების მიმართ დამოკიდებულებების პირველი კვლევა;
- შევცვალეთ ჩვენი მუშაობის მიდგომები, რათა ბენეფიციარებს კვლავ შეძლებოდათ ხარისხიანი სერვისების მიღება;
- სრულ გზავნილებით მივწვდით რეგიონებს, სადაც ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ;
- აივ/შიდსის პროგრამებისათვის შევიმუშავეთ გენდერულ ძალადობაზე საპასუხო სამოქმედო გეგმა, რომელიც დაამტკიცა ქვეყნის ერთიანმა საკოორდინაციო საბჭომ;
- დავიწყეთ რეაბილიტაციის სერვისების ინსტიტუციონალიზაციის ადვოკატირება;
- მოვიზიდეთ ახალი დონორები და წვლილი შევიტანეთ თანადგომას დაფინანსების დივერსიფიკაციაში.

ასევე, და განსაკუთრებით ამ რთულ დროში, მადლობას მოვახსენებ თანადგომას ყველა პარტნიორს, დონორს, მოხალისესა და ასევე იმ თემებს, რომლებთან ერთადაც ვმუშაობთ, ერთი მხრივ, მათი ნდობისათვის, და მეორე მხრივ, მოქნილობისათვის. თქვენგან მიღებული მხარდაჭერა გვიმტკიცებს მოტივაციას, რომ მეტი ვიმუშაოთ ჩვენი მიზნების მისაღწევად.

ბოლოს, მოგახსენებთ, რომ 2020 წელს თანადგომას დაარსებიდან 20 წელი შესრულდა. მიუხედავად იმისა, რომ არ მოგვეცა ამ თარიღის აღნიშვნის შესაძლებლობა ჩვენს ძვირფას

პარტნიორებთან, კოლეგებთან და მეგობრებთან ერთად, მინდა, მივულოცო თანადგომას დამფუძნებლებს, წევრებსა და შტატს! მჯერა, წინ ბევრი წარმატებული და საინტერესო წელი გველის.

მადლობა!

ნინო წერეთელი

ადმასრულებელი დირექტორი

შესავალი

თანადგომა დაფუძნდა, როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია 2000 წელს, და 2020 წელს აღნიშნა დაარსებიდან 20 წელი. ამ წლების განმავლობაში ორგანიზაცია მუდმივად ვითარდებოდა, ამდიდრებდა მის პორტფელს და ფართოვდებოდა როგორც პროგრამულად, ისე გეოგრაფიულად. 2021 წლისათვის თანადგომა არის კარგად ჩამოყალიბებული ორგანიზაცია მკაფიო მმართველობითი სტრუქტურითა და მიზნებით, და ასევე ფართო პარტნიორული ქსელით, რაც წარმოადგენს ორგანიზაციის შემდგომი მდგრადი განვითარების საფუძველს.

თანადგომას **ხედვაა** ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელი საზოგადოება, სადაც დაცულია ადამიანთა ჯანმრთელობის უფლება, განათლების სისტემაში დანერგილია სქესობრივი აღზრდა, მოქალაქეებს ხელი მიუწვდებათ რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხარისხიან მომსახურებაზე, შესაბამისად ნაკლებად ვრცელდება ინფექციური დაავადებები, მცირდება აბორტების რიცხვი, მაღალია ოჯახის დაგეგმვის მეთოდების გამოყენება, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მაღალი რისკის ჯგუფებს, შესაბამისად ნაკლებია ამ საკითხებთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური პრობლემები და ასევე ფართოდ დანერგილია ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისები.

ამ ხედვის რეალიზების მიზნით **ასოციაციის „თანადგომა“ მისიაა საქართველოს მოსახლეობის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება** პრევენციული, საგანმანათლებლო, დიაგნოსტიკური და სარეაბილიტაციო სერვისების განხორციელებისა და მათი ადვოკატირების გზით. ასევე „თანადგომა“ უზრუნველყოფს შესაბამისი ორგანიზაციების, თემების და სხვა დაინტერესებული პირების შესაძლებლობების განვითარებას.

თანადგომა იზიარებს და საქმიანობებს ახორციელებს შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

- ყველა ადამიანი თანასწორია მიუხედავად რასის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, რელიგიური თუ ეთნიკური მიკუთვნებულობისა;
- გენდერული აქცენტები, ადამიანის უფლებები და არადისკრიმინაციული მიდგომები გამჭოლი თემებია ორგანიზაციის მუშობაში.

თანადგომა მუშაობს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ორგანიზაციის სერვისები ხელმისაწვდომია რეპროდუქციული ასაკის ზოგადი მოსახლეობისათვის, მაგრამ თანადგომა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს და შეიმუშავებს პროაქტიულ პროგრამებს ქალებისათვის და რისკის ქვეშ მყოფი, მოწყვლადი ჯგუფებისთვის (სარისკო პოპულაციებისათვის): მამაკაცები, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცებთან - მსმ, ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები - ინმ, სექს-მუშაკები - სმ, ახალგაზრდები, პატიმრები, ლგბტ თემი, ტრეფიკინგის მსხვერპლი, ადამიანები, რომელთაც შეეხოთ აივ/შიდსი, ადამიანები, რომელთაც შეეხოთ ტუბერკულოზი, იძულებით ადგილნაცვალი პირები, და სხვა.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია თანადგომას 2020 წლის აქტივობები და მიღწევები, 2020-2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით. სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში ორგანიზაციამ გაიარა კონსულტაციები სამიზნე პოპულაციებთან, ასევე

რამდენიმე ძირითად დაინტერესებულ მხარესთან, რათა უზრუნველყო სტრატეგიული გეგმის შესაბამისობა არსებულ საჭიროებებთან და მოთხოვნებთან. გარდა ამისა, ამ კონსულტაციების მიზანი იყო გეგმის შესაბამისობის მხარდაჭერა ქვეყანაში არსებულ პროგრამირებისა და დაფინანსების ძირითად ტენდენციებთან. მიმდინარე სტრატეგიული გეგმა დაამტკიცა ორგანიზაციის საერთო კრებამ 2019 წლის 18 ოქტომბერს.

მიმდინარე პროგრამები

2020-2022 წლების სტრატეგიული გეგმის მიხედვით, 2020 წელს თანადგომას 3 სტრატეგიული პრიორიტეტი ჰქონდა:

1) სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები, რაც შემდეგ ამოცანებს მოიცავდა:

- 1.1. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ადვოკაცია როგორც საქართველოში, ისე რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე
- 1.2. თანამშრომლობა სახელმწიფო და არასამთავრობო დაინტერესებულ პირებთან საქართველოს განათლების სისტემაში ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების ინკორპორირების ხელშეწყობის მიზნით
- 1.3. სგგი-ის, აივ/შიდსის, ტუბერკულოზის, ვირუსული ჰეპატიტების და რეპროდუქციული სისტემის ონკოლოგიური დაავადებების პრევენცია და/ან სკრინინგი მოწყვლად პოპულაციებში
- 1.4. სექსუალური და გენდერული ძალადობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშეწყობა

2) ფსიქიკური ჯანმრთელობა, რაც შემდეგ ამოცანებს მოიცავდა:

- 2.1. მდგრადი და რეგულარული ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისების უზრუნველყოფა მოწყვლადი პოპულაციებისათვის
- 2.2. მდგრადი და რეგულარული ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისების ინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობა მოწყვლადი პოპულაციებისათვის

3) ორგანიზაციული განვითარება, რაც შემდეგ ამოცანებს მოიცავდა:

- 3.1. ადამიანური, ტექნიკური და ადმინისტრაციული რესურსების მხარდაჭერა, შენარჩუნება და განვითარება
- 3.2. მართვის სისტემების განვითარება

2020 წლის განმავლობაში, პირველი ორი პროგრამული მიმართულების ფარგლებში თანადგომა ახორციელებდა 15 სხვადასხვა პროექტს შემდეგი დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით: RFSU, აივ/შიდსთან, მალარიასთან და ტუბერკულოზთან ბრძოლის გლობალური ფონდი (3 პროექტი), ფონდი ღია საზოგადოება (2 პროექტი), გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), შიდსის ფონდი აღმოსავლეთი-დასავლეთი (AFEW), Solidarite SIDA, დიადი გამოწვევები კანადა (Grand Challenges Canada), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), აივ-ის, ვირუსული ჰეპატიტებისა და ტუბერკულოზის დასავლეთ-აღმოსავლეთ ევროპული პარტნიორობის ინიციატივა (WEEPI), შიდსის ჯანდაცვის ფონდი (AHF). წინამდებარე ანგარიში აღწერს ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ ყველა აქტივობას სხვადასხვა პროექტების ფარგლებში, მაგრამ მისდევს 2020 წლის სამოქმედო გეგმის სტრუქტურას, რომელიც ემყარება თანადგომას 2020-2022 წლების სტრატეგიას.

უნდა აღინიშნოს, რომ COVID-19-ის პანდემიის გამო თანადგომას ზოგიერთი აქტივობა გადაიდო, და ბევრის განხორციელების გზა შეიცვალა. პანდემიის გავლენა ორგანიზაციის მუშაობაზე წარმოდგენილია ანგარიშის სპეციალურ სექციაში.

შედეგები სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით

სტრატეგიული მიზანი 1:

საქართველოში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების წინ წამოწევის ხელშეწყობა.

ამოცანა 1.1. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ადვოკაცია როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო დონეზე

1.1.1. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში მომუშავე ორგანიზაციებთან სტრატეგიული პარტნიორობის შენარჩუნება და გაძლიერება საადვოკაციო ძალისხმევის გაძლიერების მიზნით - სრულ საკოორდინაციო პლატფორმის ფუნქციონირება

სრულ საკოორდინაციო პლატფორმის შეხვედრები. პლატფორმა ჩამოყალიბდა 2018 წელს და მას შემდეგ სარგებლობს ყველა მონაწილე ორგანიზაციის ერთობლივი მხარდაჭერითა და აქტიური ჩართულობით. წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით, 2020 წელს დაგეგმილი იყო პლატფორმის 4 შეხვედრის ჩატარება, რომელთაგან ერთ-ერთის მიზანი იყო საადვოკაციო პრიორიტეტების გამოკვეთა და განხილვა, განსაკუთრებით ნაირობის სამიტის შემდგომ. თუმცა, პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების და ლოქდაუნის გამო ჩატარდა მხოლოდ 2 შეხვედრა. პირველი ჩატარდა ოქტომბერში, ღია სივრცეში. მასზე შემდეგი საკითხები იყო განხილული: მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა სრულ საკითხების წინ წამოწევის მიზნით ეთნიკურ უმცირესობებში; სექსუალური განათლების საკითხების წარმოჩენა მასმედიაში - საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისათვის მომზადებული სამუშაო დოკუმენტის განხილვა (იხ. ქვემოთ აქტივობები სექციაში 1.2.1); სრულ საკითხებზე მუშაობის თავისებურებები COVID-19-ის პანდემიის პირობებში.

პლატფორმის მეორე შეხვედრა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში 2020 წლის დეკემბერში. შეხვედრის დღის წესრიგი ასეთი იყო: 2020 წლის შეჯამება პანდემიის გათვალისწინებით; საქართველოს წარდგინება უნივერსალურ პერიოდულ მიმოხილვაზე და პროცესის განხილვა (საკითხი წარმოადგინა ორგანიზაციამ EMC); სექსუალური განათლების დანერგვა - რუმინეთის მაგალითი (მოწვეული მომხსენებელი ადინა მანუა - არასამთავრობო ორგანიზაცია “Tineri pentru Tineri”, ბუქარესტი).

პლატფორმა გეგმავს მუშაობის გაგრძელებას 2021 წელს.



სრჯუ საკოორდინაციო პლატფორმის შეხვედრა

სრჯუ ლექსიკონი. 2020 წლის განმავლობაში გაგრძელდა მუშაობა სრჯუ ლექსიკონზე. თანადგომამ მოამზადა და დაასრულა სრჯუ ტერმინოლოგიის ქართული ლექსიკონი სრჯუ საკოორდინაციო პლატფორმის წევრების მონაწილეობით. თუმცა, პანდემიის გამო, ლექსიკონის დიზაინის დასრულება და მისი გაზიარება დაინტერესებულ მხარეებთან არ მომხდარა და დაიგეგმა 2021 წელს. გადაწყდა, მომზადდეს ლექსიკონის ელექტრონული ვერსია, რომლის გაზიარება და გავრცელება დაინტერესებულ მხარეებს შორის უფრო ადვილი იქნება, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში.

სრჯუ სახელმწიფო დაფინანსების ანალიზი 2019 წლისათვის. თანადგომამ მოამზადა 2019 წლის სრჯუ დაფინანსების მოკლე ანალიზი. თუმცა, პირველადმა შედეგებმა გამოავლინა ტენდენციების უფრო სიდრმისეული ანალიზის აუცილებლობა, რომელიც რამდენიმე წელს დაფარავდა. გადაწყდა, დოკუმენტში ასახულიყო ასევე 2020 წლის მონაცემებიც, სანამ მისი გაზიარება მოხდება დაინტერესებული მხარეებისათვის.

1.1.2. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების ადვოკატირება ადგილობრივ, ცენტრალურ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე შეხვედრების, მრგვალი მაგიდების, მოწყვლადი პოპულაციების საჭიროებების შეფასების წარდგენის გზით

სრჯუ საჭიროებების შეფასება (თვისებრივი კვლევის მეშვეობით) რეპროდუქციული სისტემის ონკოლოგიური დაავადებების მქონე ქალებს შორის. „რეპროდუქციული სისტემის ონკოლოგიური დაავადებების მქონე ქალებში სექსუალური ჯანმრთელობის პრობლემების თვისებრივი კვლევა“ ჩატარდა 2020 წლის მეოთხე კვარტალში, მას შემდეგ, რაც შემუშავდა და ეთიკური კომისიის დასტური მიიღო კვლევის პროტოკოლმა. საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, კვლევაში მხოლოდ ჩადრმავებული ინტერვიუს მეთოდი იყო გამოყენებული. ჯამში ჩატარდა 12 ინტერვიუ.

კვლევის ძირითადი მიგნებები შემდეგია: სექსუალობის საკითხები ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობისას ყველაზე დაბალპრიორიტეტულია, ისინი წამოიჭრება მხოლოდ გამოჯანმრთელების შემდეგ; არავინ ესაუბრება ქალ პაციენტებს სექსუალობის საკითხებზე, დროის ნაკლებობისა და პაციენტების დიდი რაოდენობის გამო; სექსუალობის სფეროში

არსებული პრობლემების გადაჭრაზე ქალებს არავინ ესაუბრება; სასურველი დამატებითი მომსახურებები - ფსიქოლოგის, სექსოლოგის - არ არის ხელმისაწვდომი ქალი პაციენტებისათვის; ინფორმაცია სექსუალური ჯანმრთელობის შესახებ ძალიან მნიშვნელოვანია პაციენტებისათვის და უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

2021 წელს, კვლევის მიგნებებზე დაყრდნობით, თანადგომა შეიმუშავებს და განახორციელებს ონკოლოგიური დაავადებების მქონე ქალების სრულ საჭიროებების ადვოკატირების გეგმას.

სრულ სერვისების საჭიროების კვლევა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში. კვლევის განხორციელება სამი თანმიმდევრული ნაბიჯის სახით იყო დაგეგმილი: 1. სრულ და ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების ექსპერტების სამუშაო ჯგუფის შექმნა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტებისათვის სრულ სერვისების მხრივ ძირითადი პრობლემებისა და ამ სერვისების ხელმისაწვდომობის ბარიერების იდენტიფიცირების მიზნით. ეს ნაწილი განხორციელდა 2019 წელს. 2. კვლევის ჩატარება – სამაგიდო მიმოხილვა და თვისებრივი კვლევა, რაც იყო დაგეგმილი 2020 წელს. 3. რეკომენდაციების შემუშავება და მათზე დაყრდნობით ადვოკატირება, დაგეგმილი 2021 წელს.

2020 წელს დაქირავებულმა ექსპერტმა ფსიქიატრმა მოამზადა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების ინტეგრაციის საუკეთესო მაგალითების სამაგიდო მიმოხილვა. შემდგომ, ექსპერტთა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტი. თანადგომამ შეიტანა კვლევის დოკუმენტაცია ეთიკურ კომისიაში და მისგან დასტურის მიღების შემდგომ ჩატარდა კვლევის ველი. თვისებრივი კვლევა განხორციელდა საქართველოს სამ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი - იმერეთის რეგიონი და ბათუმი - აჭარის რეგიონი) ფსიქიკური ჯანმრთელობის პაციენტებს, მათ მზრუნველებსა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მომუშავე სოციალურ მუშაკებს შორის. ჯამში, ჩატარდა 3 ფოკუსირებული დისკუსია სოციალურ მუშაკებთან, 12 ინტერვიუ ფსიქიკური ჯანმრთელობის პაციენტებთან და 12 ინტერვიუ პაციენტებზე მზრუნველ პირებთან.

კვლევის ძირითადი მიგნებები მეტყველებს შემდეგზე: ფსიქიკური დაავადებების მქონე ქალებს აქვთ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემები, მაგრამ ამ პრობლემებთან დაკავშირებული ცნობიერება დაბალია როგორც პაციენტებში, ისე მათზე მზრუნველ პირებსა თუ სოციალურ მუშაკებში. სამედიცინო პერსონალი არ აწვდის პაციენტს ინფორმაციას, თუ როგორ მართოს ამ სფეროში არსებული პრობლემები. მეტიც, ფსიქიკური აშლილობების მქონე ქალები ვერ იღებენ სპეციფიკურ მოვლას ორსულობისა და მშობიარობის დროს. ამავე დროს, სოციალური მუშაკები არ არიან ჩართული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტების რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებაში.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ექსპერტთა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელთა მიღვენებასაც თანადგომა 2021 წელს გეგმავს.

შეხვედრები ჟურნალისტებთან სრულ საკითხების მედია მონიტორინგის შედეგების წარდგენის მიზნით. 2019 წელს თანადგომამ ჩატარა სრულ საკითხების ქართულ მედიაში წარმოჩენის მონიტორინგი. 2019 წლის დეკემბერში მონიტორინგის შედეგები წარდგენილ იქნა სრულ პლატფორმის შეხვედრაზე (არაფორმალური პლატფორმა, რომელსაც თანადგომა უდგას სათავეში, და რომელიც აერთიანებს სრულ საკითხებით დაინტერესებულ ყველა მხარეს). 2020 წლისათვის გადაწყდა, რომ ჩატარებულიყო სპეციალური შეხვედრები სხვადასხვა მედიის

წარმომადგენელ ჟურნალისტებთან, სრულ საკითხებზე მათი გათვითცნობიერებულობისა და მგრძნობელობის ამოღების მიზნით. მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ლოქდაუნი მოიხსნა, ჩატარდა 2 შეხვედრა, სადაც მონაწილეობა 22-მა ჟურნალისტმა მიიღო. მონაწილეებმა შეხვედრები ძალიან დადებითად შეაფასეს, გარდა ამისა, შეხვედრების შედეგად რამდენიმე მედია (2 სატელევიზიო არხი, სოციალური მედიაპორტალი mshoblebi.ge და გაზეთი „ქრონიკა“) დაუკავშირდა თანადგომას და მოამზადა მასალა სრულ საკითხებზე, უმეტესწილად სექსუალური განათლების თემაზე, მათ პროგრამებსა თუ სტატიებში.

ანგარიშის წარდგენა საქართველოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისათვის. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების არაფორმალურმა კოალიციამ (რომელიც შედგება შემდეგი ორგანიზაციებისგან: EMC, თანადგომა, ჰერა XXI, WISG, თანასწორობის მოძრაობა) წარადგინა ამ უფლებების დეტალური ანალიზი გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მესამე ციკლის ფარგლებში. კოალიციის ერთ-ერთ მიზანი იყო იმის უზრუნველყოფა, რომ სრულ საკითხების გამაერთიანებელი მთავარი რეკომენდაცია ყოფილიყო მტკიცებულებებზე დამყარებული, ასაკის შესაფერისი ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების დანერგვა ეროვნულ სასწავლო კურიკულუმში. ეს რეკომენდაცია წარდგენილ იქნა რამდენიმე ოფიციალურ და არაფორმალურ პლატფორმაზე.

2021 წლის 26 იანვარს ჩატარებული სესიის დროს საქართველომ მიიღო 6 რეკომენდაცია სექსუალური განათლების დანერგვასთან დაკავშირებით, UNESCO-ს სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. რეკომენდაციები შემდეგმა ქვეყნებმა წარმომადგინეს: ურუგვაი, მექსიკა, ესპანეთი, ისლანდია, საფრანგეთი და ლუქსემბურგი. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ საქართველომ სექსუალურ განათლებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები პირველად მიიღო. ეს კოალიციისა და ამ საკითხის ადვოკატებისათვის დიდი მიღწევაა.

1.1.4. არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, განსაკუთრებით კი ქალთა და სათემო ორგანიზაციებისათვის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე ცოდნისა და უნარების გაძლიერებაში მხარდაჭერის შესაძლებლობების მოძიება

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტებში შექმნილ „ქალთა ოთახებთან“ თანამშრომლობა სრულ საკითხების პოპულარიზაციის ადგილობრივი გეგმების შემუშავებისა და განხორციელებისათვის. 2020 წელს თანადგომამ დაამყარა მჭიდრო თანამშრომლობა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სამი მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახებთან“ და გენდერული თანასწორობის საბჭოებთან და საკრებულოებთან. სამიზნე მუნიციპალიტეტები იყო ბოლნისი, თეთრიწყარო და წალკა. 2020 წლის ოქტომბერში თანადგომას წარმომადგენლები ეწვიენ ამ სამ მუნიციპალიტეტს და ჩაატარეს შეხვედრები და ვორკშოპები „ქალთა ოთახებისა“ და გენდერული თანასწორობის საბჭოების წარმომადგენლებთან. შეხვედრების მიზანი იყო რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ოჯახის დაგეგმვის, ასევე, თემთან საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელების საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება. შეხვედრების დროს შემუშავდა სრულ პოპულარიზაციის გეგმები თითოეული რეგიონისათვის. 2021 წელს დაგეგმილია ამ გეგმების განხორციელება. თანადგომა ამ პროცესის მონიტორინგს ჩაატარებს.



სრჯუ საკითხების პოპულარიზაციის ადგილობრივი რეგიონული გეგმების შემუშავება გენდერული თანასწორობის ადგილობრივ საბჭოებთან და „ქალთა ოთახებთან“ თანამშრომლობით

თანამშრომლობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე ტექნიკური დახმარების გაწევისა და ერთობლივ რეგიონულ და საერთაშორისო პროექტებსა თუ პროგრამებში მონაწილეობის მიღების გზით. ამ მიმართულების ფარგლებში მოაზრებული იყო მხოლოდ ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლების შესაძლებლობაც გაჩნდებოდა წლის განმავლობაში. კორონავირუსის პანდემიიდან გამომდინარე, თანადგომა არ ჩართულა რაიმე რეგიონულ ან საერთაშორისო პროექტში, რომლებიც სრჯუ საკითხებს შეეხებოდა. მიუხედავად ამისა, თანადგომა აგრძელებდა დკსჯეც-ისათვის ტექნიკური დახმარების გაწევას „დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის“ სამოქმედო გეგმის კომუნიკაციის სტრატეგიის დაგეგმვასა და განხორციელებაში. 2020 წელს, დკსჯეც-ის შეთავაზებით, თანადგომამ და დკსჯეც-მა მოაწერეს ხელი მემორანდუმს ამ სტრატეგიის ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ. მემორანდუმის არსებობა თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების გაწევის უფრო ფართო შესაძლებლობებს იძლევა.

1.1.6. ოჯახის დაგეგმვის შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

„დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სტრატეგიის“ საკომუნიკაციო სტრატეგიის განხორციელებაში წვლილის შეტანა - საინფორმაციო და მონიტორინგის აქტივობები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში, ადგილობრივ ქალთა ორგანიზაციებთან ერთად. ადგილობრივ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებთან - „აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი“ და „ქართველ სომეხთა კავშირი“ - ერთად თანადგომამ ჩაატარა საგანმანათლებლო სესიები ადგილობრივ ქალებთან მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, ახალციხის, ახალქალაქისა და ნინოწმინდას რეგიონებში. თემის ლიდერებმა, ადგილობრივი ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და გამგეობების წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს შეხვედრების ორგანიზებაში. ჯამში, აზერბაიჯანული თემის 210 ქალი და სომხური თემის 106 ქალი დაესწრო საგანმანათლებლო შეხვედრებს. მათ მაღალი ინტერესი გამოხატეს სრჯუ საკითხების მიმართ და აქტიურად მონაწილეობდნენ შეხვედრებში. ყოველი შეხვედრის შემდეგ მონაწილეებს მიეწოდათ საგანმანათლებლო მასალები ოჯახის დაგეგმვის შესახებ აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. მასალები შექმნა და თარგმნა თანადგომამ, ხოლო დაბეჭდა დკსჯეც-მა.



საგანმანათლებლო შეხვედრები სრულ საკითხებზე აზერბაიჯანულ ქალებთან

ფეისბუქ გვერდისა და მობილური ტელეფონის აპლიკაციის მართვა და გაუმჯობესება. 2000 წლის ბოლოს თანადგომას ფეისბუქ გვერდს „რეპროდუქციული ჯანმრთელობა ჰყავდა 7,215 მიმღევარი და მიღებული ჰქონდა 7029 მოწონება. ჯამურმა მოცვამ შეადგინა 666018. 2020 წელს რამდენიმე განთქმულმა ქართველმა გინეკოლოგმა ჩაატარა 6 ონლაინ სესია რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე ცოცხალ ინტერაქტიურ რეჟიმში. ონლაინ სესიებმა მაღალი ინტერესი გამოიწვია და მათ დიდი რაოდენობით მონაწილე დაესწრო.

2020 წლის ბოლოსათვის თანადგომას მიერ შექმნილი მობილური ტელეფონის აპლიკაცია „ჩემი კალენდარი“ („My Calendar Geo“) ჩამოტვირთულ იქნა 50 000-ზე მეტი ანდროიდის მომხმარებლის და 7000-მდე აიფონის მომხმარებლის მიერ (ჯამური რიცხვები მოწოდებულია იმ თარიღიდან, როდესაც აპლიკაცია განთავსდა App Store და Google Play პლატფორმებზე).

„ჩემპიონთა“ (ინფლუენსერების) ტრენინგი ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე. თანადგომამ და სკდჯეც-ის წარმომადგენლებმა შეიმუშავეს „ჩემპიონთა“ შერჩევის კრიტერიუმები და ინფლუენსერების წინასწარი სავარაუდო სია. ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, შერჩეულ იქნა 5 „ჩემპიონი“ (გენდერული საკითხების გათვალისწინებით): 4 ქალი და 1 მამაკაცი სხვადასხვა სფეროს პოპულარული/ცნობადი სახეებიდან, როგორებიცაა ფერმერი ქალი, ჟურნალისტი ქალი, მსახიობი და ა.შ. პანდემიის გამო შერჩეული პირების ტრენინგის ჩატარება გადავადდა. ამის მაგივრად, შეიქმნა მათი მონაწილეობით საგანმანათლებლო ვიდეორგოლი, სადაც „ჩემპიონებმა“ გააუღერეს ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გზავნილები. შეიქმნა ვიდეოს ორი ვერსია სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებისათვის: 30-წამიანი - ტელევიზიის ფორმატისათვის და 1.5-წუთის ხანგრძლივობის - სოციალური ქსელებისათვის. ვიდეოს გავრცელება და გაზიარება სოციალური მედიის საშუალებით 2021 წელს განხორციელდება, თანადგომას ვებგვერდის, იუთუბის არხის, ფეისბუქის გვერდების, დკსჯეც-ის ვებგვერდისა და ფეისბუქის გვერდის მეშვეობით, ასევე, ის გაზიარდება სრულ საკოორდინაციო პლატფორმაზე, რათა გამოყენებულ იქნას ყველა დაინტერესებული მხარის მიერ.



ოჯახის დაგეგმვის პოპულარიზაციის ვიდეო ცნობადი სახეებისა და ინფლუენსერების მონაწილეობით

მედიკამენტური აბორტის ხელმისაწვდომობის ბარიერების კვლევა სოფლად მცხოვრებ ქალებში საქართველოში. პროექტის „აბორტის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება საქართველოში“ ფარგლებში, რომელსაც აფინანსებს დიადი გამოწვევები კანადა, 2020 წელს ჩატარდა თვისებრივი კვლევა სოფლად მცხოვრებ და დევნილ ქალებს შორის. კვლევის მიზანი იყო ამ სამიზნე ჯგუფებში მედიკამენტური აბორტის ხელმისაწვდომობის ბარიერებისა და მისი გამოყენების შეფასება. კვლევის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები თანადგომამ 2019 წელს ჩაატარა, ხოლო უშუალოდ ველი და მონაცემთა დამუშავება განხორციელდა 2020 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიამ ხელი შეუშალა თვისებრივი კვლევის ველის ჩატარებას და მას მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე იყო დაგეგმილი, რადგანაც ინტერვიუები/ფოკუსირებული დისკუსიები ონლაინ ფორმატში ჩატარდა. თანადგომას გუნდმა დაასრულა და წარადგინა კვლევა ძირითადი დაინტერესებული მხარეების შეხვედრაზე 30 სექტემბერს. ამავე დროს, მედიკამენტური აბორტის მიწოდების ინოვაციური მეთოდის კლინიკური კვლევა (ჯანდაცვის დაწესებულებაში ვიზიტების შემცირებული რაოდენობის მეშვეობით) დაიწყო 2020 წლის 24 ივნისს სამ ქალაქში - თბილისში, ბათუმსა და ზესტაფონში. 2020 წლის ბოლოსათვის კვლევის ველი კვლავ მიმდინარეობდა. კლინიკური კვლევის წინასწარი შედეგების მიღება მოსალოდნელია 2021 წლის ივნისში.



ტრენინგი კლინიკური კვლევის დაწყების წინ



თვისებრივი კვლევის შედეგების პრეზენტაცია

ამოცანა 1.2. თანამშრომლობა სახელმწიფო და არასამთავრობო დაინტერესებულ პირებთან საქართველოს განათლების სისტემაში ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების ინკორპორირების ხელშეწყობის მიზნით

1.2.1. სქესობრივი აღზრდის სფეროში ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა, როგორც არის რელევანტური გაეროს სააგენტოები და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აქტიური არიან სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიასთან თანამშრომლობის დაწყება სქესობრივი აღზრდის საკითხების გაშუქების შესახებ სახელმძღვანელოს მომზადების მიზნით. თანადგომა დაუკავშირდა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას და მათ გამოთქვეს დაინტერესება, რომ მომზადებულიყო სპეციალური დოკუმენტი მასმედიაში სქესობრივი აღზრდის გაშუქებასთან დაკავშირებით. სრჯუ საკოორდინაციო პლატფორმის წევრების მონაწილეობით შემუშავდა დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომელიც გაეგზავნა ქარტიას განსახილველად. მაგრამ, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე (არჩევნები, არჩევნების შემდგომი პერიოდი), ასევე COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით, მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, განეხილათ დოკუმენტი და მოეწოდებინათ უკუკავშირი. ამ მიმართულებით მუშაობის შემდგომი ნაბიჯები 2021 წლისათვის დაიგეგმა.

1.2.2. სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა: მონაწილეობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამუშაო ჯგუფებში, წვლილის შეტანა სახელმძღვანელოების შემუშავებაში და პედაგოგების სრჯუ კვალიფიკაციის ამაღლებაში

სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა ეროვნული სასწავლო კურიკულუმის საშუალო საფეხურის სტანდარტების რევიზიის მიზნით. 2019 წლიდან განათლების სამინისტრო ცდილობს, სტრუქტურული ცვლილებები შემოიტანოს ზოგადი განათლების სისტემაში. კერძოდ, საშუალო საფეხური უნდა შემცირებულიყო მე-11 და მე-12 კლასებამდე, მაშინ, როდესაც საბაზო საფეხური უნდა გაზრდილიყო და მასში შესულიყო 7-10 კლასები (ძველი სტრუქტურა – 9+3 წელი, ახალი სტრუქტურა – 10+2 წელი). ამ ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება გავლენას მოახდენდა საშუალო საფეხურის სტანდარტების რევიზიის პროცესის განხორციელებაზე. გადაწყვეტილების მიღების პროცესს თითქმის მთელი 2020 წელი დასჭირდა. წლის ბოლოსათვის, პარლამენტმა არ დაამტკიცა შეთავაზებული ცვლილება. შესაბამისად, საშუალო საფეხური კვლავ მე-9 კლასის ჩათვლით არის და სტანდარტების რევიზიის სამუშაო ჯგუფები განაახლებენ მუშაობას 2021 წლიდან. ამასობაში თანადგომას წარმომადგენლებმა მიიღეს შესაბამისი ზომები, რომ უზრუნველყოთ დამტკიცებული სტანდარტების სათანადო განხორციელება (სახელმძღვანელოების რევიზია, შეხვედრები მომავალი სახელმძღვანელოების ავტორებთან, განათლების სამინისტროსათვის სტანდარტების განხორციელებისათვის დამატებითი რესურსების მიწოდება, როგორიცაა ვიდეომასალები, და მუშაობის დაწყება შერჩევითი საგნის კურსზე, რომელიც სქესობრივი განათლების ფართო საკითხებს მოიცავს და სხვ.).

ანიმაციური ვიდეორგოლების, როგორც სკოლებისათვის დამატებითი რესურსის, მომზადება. 2020 წლის განმავლობაში თანადგომამ შექმნა სამი ანიმაციური ვიდეორგოლი შემდეგ საკითხებზე:

- “მოზარდობა (გარდატეხის ასაკი) და ფიზიოლოგიური ცვლილებები”;
- “მოზარდობა და ფსიქოლოგიური ცვლილებები”;
- “მოზარდობა და მასთან დაკავშირებული სოციალური გამოწვევები”.

ვიდეოს თან ახლავს სუბტიტრები სმენადაქვეითებული ადამიანებისათვის. შეთანხმებისამებრ, ვიდეოები გადაეცემა განათლების სამინისტროს, როგორც დამატებითი სასწავლო რესურსი სკოლებისათვის.

სკოლებისათვის დამატებითი რესურსის - შერჩევითი საგნის კურსის მომზადება. თანადგომას აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა განათლების სამინისტროსთან სკოლებში შერჩევითი საგნის საკითხთან დაკავშირებით. საბოლოო შეთანხმება იყო ის, რომ საგანი მოიცავდა ყოვლისმომცველი სქესობრივი განათლების იმ საკითხებს, რომლებიც სათანადოდ არ იყო ასახული ეროვნულ კურიკულუმში, როგორიცაა ემოციები და ღირებულებები, სექსუალობა, ოჯახის დაგეგმვა, გენდერი და არასასურველი ორსულობა. ეს არის მნიშვნელოვანი დამხმარე ინსტრუმენტი სქესობრივი განათლების საკითხების მაქსიმალური მოცვისათვის საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში, მიუხედავად იმისა, რომ შერჩევითი საგანი არ არის სავალდებულო. ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაო - საჭირო მასალების მოგროვება, შერჩევითი საგნის დოკუმენტის სტრუქტურის ჩამოყალიბება. თუმცა, შემუშავების პროცესის ინიცირება არ მომხდარა, რადგან სამინისტრო ელოდებოდა საგანმანათლებლო პროცესის სტრუქტურის ცვლილებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას (საშუალო განათლების საფეხურის შეცვლას 9+3 წლიდან 10+2 წელზე). 9+3 სისტემის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, შერჩევითი საგნის კურსი იქნება მე-10, მე-11 და მე-12 კლასებისათვის, თითოეული საგანმანათლებლო წლის ნახევარზე გათვლით (1 სემესტრი თითო კლასში). 2021 წელს იგეგმება შერჩევითი საგნის კურსის შემუშავება და პილოტაჟი რამდენიმე სკოლაში.

სამუშაო შეხვედრები სახელმძღვანელოების ავტორებთან. 2020 წელს ჩატარდა 2 შეხვედრა მე-8 კლასის „ბიოლოგიისა“ და „მოქალაქეობის“ საგნების სახელმძღვანელოების ავტორებთან. ერთი შეხვედრა ჩატარდა პირისპირ, ხოლო მეორე - ონლაინ ზუმის პლატფორმის მეშვეობით. შეხვედრების მიზანი იყო, კონსულტაცია გაეწია მომავალი სახელმძღვანელოების ავტორებისათვის, თუ როგორ ასახონ სრულ საკითხები ტექსტში, დამტკიცებული სტანდარტების მიხედვით. 2021 წელს დაგეგმილია შეხვედრები მე-9 კლასის სახელმძღვანელოების ავტორებთან.

სახელმძღვანელოების გადახედვა სრულ საკითხების სათანადო ასახვის კუთხით. 2020 წელს თანადგომას ექსპერტებმა ჩაატარეს საგნების „ბიოლოგია“ და „მოქალაქეობა“ მე-7 კლასის სახელმძღვანელოების რევიზია. ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ამ სახელმძღვანელოებში სრულ საკითხები მწირად არის წარმოდგენილი (გარდატეხის ასაკი „ბიოლოგიაში“, ნაადრევი ქორწინება „მოქალაქეობაში“). თანადგომას რევიზიის შედეგები და რეკომენდაციები სახელმძღვანელოების შინაარსის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მიეწოდა განსახილველად განათლების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტს.

1.2.4. სქესობრივი აღზრდის საკითხებზე სხვადასხვა ჯგუფების ცნობიერების ამაღლება, როგორებიცაა სკოლის დირექტორები, მასწავლებლები, ახალგაზრდები, მათი მშობლები, ასევე ზოგადი მოსახლეობა

“მშობელთა კურსების” გაგრძელება სქესობრივი აღზრდის შესახებ გათვითცნობიერებულობის ამაღლების მიზნით “No Taboo” ფეისბუქის გვერდის მეშვეობით. 2020 წლის განმავლობაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, გვერდის სახელწოდება

შეცვლილიყო და გამხდარიყო „თანადგომა მშობლებს“. თანადგომას დიზაინერმა იმუშავა გვერდის ვიზუალურ მხარესა და მასალებზე. 2020 წლის ბოლოსათვის, გვერდს ჰყავდა 3300-მდე გამომწერი.

პანდემიამ გავლენა მოახდინა ფეისბუქ გვერდის მეშვეობით დაგეგმილ ზოგიერთ ღონისძიებაზე, რადგანაც პირისპირ შეხვედრები არ იყო ნებადართული. შესაბამისად, თანადგომამ შემდეგი აქტივობები განახორციელა:

- პირველი ლოქდაუნის დროს მშობლების ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო სტრესის მართვის ონლაინ ტრენინგში (10 მონაწილე, 10 სესია);
- დაინტერესებული მშობლები დარეგისტრირდნენ და მათ ჩაუტარდათ ონლაინ ტრენინგი გარდატეხის ასაკისა და ამ პერიოდში მშობლის როლის შესახებ, განსაკუთრებით COVID-19-ის პერიოდში.
- გვერდზე გამოქვეყნდა სამი ვიდეობლოგი მოწვეული სპეციალისტების მონაწილეობით (ფსიქოლოგი, ენდოკრინოლოგი, ფსიქიატრი);
- გვერდზე გამოქვეყნდა 12 თანმიმდევრული ჩანაწერი სქესობრივი აღზრდის შესახებ.

გვერდის შეტყობინებებში მოდის ბევრი კითხვა და კერძო შეტყობინება მშობლებისაგან. თანადგომას ფსიქოლოგები უწევენ მათ კონსულტაციებს და აწვდიან რეკომენდაციებს.



“თანადგომა მშობლებს” ფეისბუქის გვერდის ქავერი

ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების მიმართ დამოკიდებულებების კვლევის დაწყება. ამ კვლევის ჩატარების იდეა გაჩნდა გენტში, ბელგიაში ANSER (Academic Network for Sexual and Reproductive Health and Rights Policy) კონფერენციაში თანადგომას მონაწილეობის შედეგად. კვლევის დასაბუთებაა, რომ სქესობრივი განათლების (კერძოდ კი მისი ნაწილის, რომელსაც ცხოვრების ჯანსაღი წესი ეწოდება) შემოღებას საქართველოში მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების მხრიდან მწვავე წინააღმდეგობა შეხვდა. ჯერ კიდევ არ არის ნათელი, თუ რა დამოკიდებულებები აქვს ზოგად მოსახლეობას სქესობრივი განათლების შემოღების მიმართ და ის, თუ რას აღიქვამს უმეტესობა სქესობრივ განათლებად. თანადგომა რამდენიმე წელია, მუშაობს ამ მიმართულებით. იმისათვის, რომ მუშაობა უფრო ეფექტური და ეფექტიანი იყოს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრის გაგება და იმის განსაზღვრა, თუ რა ფაქტორები ახდენს გავლენას ამ აზრზე. ამდენად, თანადგომამ დაიწყო კვლევის განხორციელება შემდეგი მიზნებისათვის: განისაზღვროს, თუ რა ჰგონია ზოგად მოსახლეობას სქესობრივი განათლება, განისაზღვროს საზოგადოების დამოკიდებულებები სქესობრივი განათლების მიმართ, განისაზღვროს ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ამ

დამოკიდებულებებზე. კვლევისათვის შემდეგი მეთოდები შეირჩა: არსებული ლიტერატურის სამაგიდო მიმოხილვა, მედია ანალიზი, თვისებრივი კვლევა და რაოდენობრივი კვლევა. შედეგად, თანადგომა გამოავლენს ყველაზე გავლენიან ფაქტორებს და, ამაზე დაყრდნობით, მომდევნო საადვოკაციო და საკომუნიკაციო მუშაობაში გამოყენებული იქნება სპეციფიკური შეტყობინებები და ამ შეტყობინებების მიწოდების გზები. საბოლოო მიზანია, საქართველოს მოსახლეობაში სქესობრივი განათლების მეტად დადებითი იმიჯის შექმნა.

დღემდე თანადგომა:

- დაუკავშირდა სქესობრივი განათლების რეგიონულ/საერთაშორისო ექსპერტებს, რათა მოეგროვებინა არსებული და ხელმისაწვდომი ლიტერატურა (სტატიები, კვლევის ანგარიშები, სხვა);
- ჩაატარა და დაასრულა სამაგიდო მიმოხილვა (საბოლოო ანგარიში ქართულ ენაზეა, თარგმანი იგეგმება 2021 წელს);
- ტენდერის შედეგად შეარჩია მედია-კვლევითი კომპანია, რომელმაც ჩაატარა მედია ანალიზი (საბოლოო ანგარიში ქართულ ენაზეა, თარგმანი იგეგმება 2021 წელს);
- დაუკავშირდა და კონსულტაციები გაიარა განათლების კვლევის ექსპერტებთან, რათა განესაზღვრა, თუ რა შეიძლება ყოფილიყო თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შესაძლო დიზაინი და დროითი ჩარჩო;
- ტენდერის შედეგად შეარჩია კვლევითი კომპანია კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი ნაწილების ჩასატარებლად;
- შერჩეულმა კომპანიამ ჩაატარა თვისებრივი კვლევის ნაწილი (ანგარიში არსებობს ქართულ ენაზე, თარგმანი დაგეგმილია 2021 წელს).

ამოცანა 1.3. სგგი-ის, აივ/შიდსის, ტუბერკულოზის, ვირუსული ჰეპატიტების და რეპროდუქციული სისტემის ონკოლოგიური დაავადებების პრევენცია მოწყვლად პოპულაციებში

1.3.1. სგგი-ის, აივ/შიდსის, ტუბერკულოზის, ვირუსული ჰეპატიტების და რეპროდუქციული სისტემის ონკოლოგიური დაავადებების პრევენციული და/ან სკრინინგ-სერვისების მიწოდება მოწყვლადი პოპულაციებისათვის

აივ/სგგი პრევენციის რეგულარული აქტივობების განხორციელება მსმ-ებსა და სექს-მუშაკებს შორის საქართველოს 5 ქალაქში. 2020 წლის განმავლობაში თანადგომა აგრძელებდა პრევენციულ აქტივობებს, მიუხედავად პანდემიის მიერ გამოწვეული სირთულეებისა. COVID-19-მა სერიოზული გავლენა მოახდინა სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებზე, მათ შორის ქალ სექს-მუშაკებსა და ლგბტ თემის წევრებზე. პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა პირდაპირ იმოქმედა მათ სამუშაო გარემოზე, შემოსავალზე, საცხოვრისზე, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. გაუარესდა მათი უსაფრთხოების პირობები. მათი უმრავლესობა არ ფლობდა ინფორმაციას COVID-19-ის გადაცემის გზებზე, უსაფრთხოებაზე, სიმპტომებსა და მკურნალობაზე. თანადგომამ შეცვალა სამუშაო მიდგომები, რათა საუკეთესოდ მორგებოდა სიტუაციას და გაეგრძელებინა სგგი/აივ/შიდსის პრევენციის ღონისძიებები პრევენციულ პაკეტებში კოვიდთან დაკავშირებული მასალების ჩამატების გზით. უფრო დიდი აქცენტი გაკეთდა სახლში მიტანის სერვისებზე. აივ-ის თვითტესტები და პრევენციული პაკეტები (კონდომები, ლუბრიკანტები, საინფორმაციო მასალები უსაფრთხო სექსზე, სგგი-სა და აივ

ინფექციაზე) მიჰქონდათ ბენეფიციარებთან სახლებში. ჯამში, თანადგომამ პრევენციული სერვისებისა და აივ-ტესტირებით მოახერხა ბენეფიციარების შემდეგი რაოდენობის მოცვა სხვადასხვა სამიზნე პოპულაციებიდან:

მოცვა 2020 წელს		
სამიზნე ჯგუფი	პრევენციული პაკეტით მოცვა (უნიკალური კოდები)	ნკტ მოცვა (უნიკალური კოდები)
მსმ	4436	2772
კსმქ	2722	1535
პატიმრები (10 საპატიმროში)	990	990

2020 წელს მსმ-ებსა და კსმქ-ებში გავრცელებული მასალები	
მასალები	რაოდენობა
კონდომები	468660
ლუბრიკანტები	145341
საინფორმაციო მასალები სგგი/აივ/უსაფრთხო სექსის თემებზე	8115
აივ ინფექციის თვითტესტები	2139
სამედიცინო ნიღბები (COVID-19-ის პრევენცია)	3500
საინფორმაციო ბუკლეტები (COVID-19-ის პრევენცია)	6420

ბენეფიციარების კმაყოფილების კვლევა. 2020 წელს, 3-წლიანი სტრატეგიული ციკლის დასაწყისში, თანადგომამ ჩაატარა შიდა კვლევა ბენეფიციარების კმაყოფილების ხარისხის შესასწავლად. ბენეფიციარებმა უპასუხეს კითხვებს რეგულარულად მიწოდებული სერვისების შესახებ და შეაფასეს ამ სერვისებით კმაყოფილების დონე, ისევე, როგორც მათი ხარისხი. კვლევის ველი ჩატარდა როგორც პირისპირ (გასვლითი სავლეს სამუშაოების დროს), ისე ონლაინ თვითადმინისტრირებადი კითხვარის მეშვეობით, რათა უზრუნველყოფილიყო რესპონდენტების გულწრფელობა. სულ კვლევაში 273 ბენეფიციარმა მიიღო მონაწილეობა. კითხვაზე “რამდენად ენდობით თანადგომას?” გამოკითხულთა 90.7%-მა (246) გასცა პასუხი “ვენდობი” და “ძალიან ვენდობი”, ხოლო 6.6%-მა (18) – „ნაწილობრივ“ ვენდობი. რაც შეეხება თანადგომას კონსულტანტების, სოციალური მუშაკების და/ან სავლეს მუშაკების დამოკიდებულებით კმაყოფილებას, რესპონდენტების 91.2% (249) იყო "ძალიან კმაყოფილი" და "კმაყოფილი"; 5.5% (15) კი იყო ნაწილობრივ კმაყოფილი.

კითხვაზე “რამდენად დაგეხმარათ თანადგომას პერსონალი თქვენი პრობლემის განაწვევაში საკუთარი შესაძლებლობებისა და პასუხისმგებლობების ფარგლებში?” 89%-მა (211) აღნიშნა, რომ თანადგომას პერსონალი „ძალიან დაეხმარა“ და „დაეხმარა“, ხოლო 7.6%-მა (18) კი დახმარება შეაფასა, როგორც „ნაწილობრივი“.

აივ/შიდსის პრევენციასთან დაკავშირებული დამატებითი აქტივობები, რომლებიც თანადგომამ 2020 წელს განახორციელა: დაგეგმილ აქტივობებთან ერთად, თანადგომამ მოახერხა ფონდების მოძიება და აივ/შიდსის პრევენციასთან დაკავშირებული სხვა პროექტებისა თუ ინიციატივების განხორციელება, კერძოდ:

- გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული რეგიონული პროექტის „სერვისების მდგრადობა“ ფარგლებში თანადგომა ჩართული იყო აივ-ის თვითტესტირების კვლევაში, რომელსაც ახორციელებდა საქართველოს ზიანის შემცირების ქსელი. თანადგომას ნაწილი იყო მსმ პოპულაციის კვლევაში მოზიდვა და ჩართვა, სხვადასხვა თვითტესტის შეთავაზება და მათგან ყველაზე მეტად მისაღების იდენტიფიცირება.
- თანადგომამ მიიღო გრანტი აივ-ზე, ვირუსულ ჰეპატიტებსა და ტუბერკულოზზე დასავლეთ-აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ინიციატივისგან (WEEPI) კვლევითი პროექტის “სარისკო პოპულაციების პარტნიორობისათვის აივ-ზე თვითტესტირების სტრატეგიების პილოტირება” განხორციელებისათვის, რომელიც მიზნად ისახავს მსმ, ქალი და ტრანსგენდერი სექს-მუშაკების სექსუალური პარტნიორობის მოცვის გაზრდა აივ-ზე თვითტესტირების მიწოდების სტრატეგიების იდენტიფიცირებისა და პილოტირების გზით.
- Solidarite SIDA-ს მიერ დაფინანსებული პროექტის “ქუჩის იურისტები თემის სამსახურში” ფარგლებში, რომლის მიზანიც იყო მსმ-ების მონაწილეობის გაზრდა აივ-პრევენციულ და სამკურნალო სერვისებში მათ მიმართ ძალადობის პრევენციისა და შემცირების გზით, თანადგომამ ტრენინგი ჩაუტარა და მხარი დაუჭირა 10 პარაიურისტს თემიდან. დატრენინებული პარაიურისტები აწვდიდნენ სერვისებს თავისი თემის წევრებს, რომელთაც დასჭირდებოდათ იურიდიული ინფორმაცია, რჩევა და გადამისამართება.
- გაეროს მოსახლეობის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით თანადგომამ განახორციელა პროექტი “ქცევითი ინსაიტები აივ-თან დაკავშირებული სარისკო ქცევებთან მიმართებაში”, და ჩაატარა თვისებრივი კვლევა „აივ დადებითი პირების, სარისკო პოპულაციისა და სამედიცინო პერსონალის აღქმა და დამოკიდებულებები აივ ტესტირებაზე მოქმედი ფაქტორების შესახებ“. კვლევის მიგნებებზე დაყრდნობით შემუშავდა „სტიგმისგან თავისუფალი ჯანდაცვის დაწესებულების“ სახელმძღვანელო, რასაც მოჰყვა სატრენინგო მოდულის მომზადება იმავე საკითხზე. 2021 წელს დაგეგმილია როგორც ტრენინგის, ისე სახელმძღვანელოს პილოტირება რამდენიმე ჯანდაცვის დაწესებულებაში.
- თანადგომამ მონაწილეობა მიიღო რეგიონულ პროექტში “მიგრანტი ლგბტქი პირების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება“, რომელსაც ახორციელებდა Deutsche AidsHilfe. პროექტის ფარგლებში: შემუშავდა საქართველოში ლგბტქი მიგრაციის გარშემო არსებული სიტუაციის და ტენდენციების მოკლე მიმოხილვა; შეგროვდა მიგრანტებისათვის არსებული სერვისების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები; მომზადდა რამდენიმე ანიმაცია მიგრაციის, აივ/შიდსის და ლგბტქი უფლებების თემაზე.

- შიდსის ჯანდაცვის ფონდის (AHF) დაფინანსებით თანადგომამ ჩაატარა კონდომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც მიმართული იყო ლგბტ თემსა და მსმ პოპულაციაზე. პრე-ფართი ჩატარდა კლუბ „საქსესში“ და თავად ღონისძიება - კლუბში „ხიდი“, რომელთანაც თანადგომა აქტიურად თანამშრომლობს უკვე რამდენიმე წელია.



კონდომის საერთაშორისო დღე 2020

1.3.2. მოწყვლადი პოპულაციებისათვის აივ-პრევენციული სტანდარტების დამტკიცების ადვოკაცია და პრევენციული საქმიანობების განხორციელება დამტკიცებული მომსახურების სტანდარტების მიხედვით

თანამშრომლობა ზიანის შემცირების საქართველოს ქსელთან და აივ/სგგი სამუშაო ჯგუფის სხვა წევრებთან, ასევე გაეროს მოსახლეობის ფონდთან აივ პრევენციის სტანდარტების დამტკიცების ადვოკაციის მიმართულებით. აივ პრევენციის გაიდლაინები შეტანილ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში და 2020 წლის 24 იანვარს დამტკიცდა მინისტრის ბრძანებით.

1.3.3. აივ-პრევენციული სერვისების სახელმწიფო დაფინანსების ადვოკატირება

აივ/შიდსის/სგგი-ის სამუშაო ჯგუფთან და დესჯეც-თან თანამშრომლობა აივ-პრევენციის გაზრდილი სახელმწიფო დაფინანსების ადვოკატირების მიზნით. სტანდარტების დამტკიცება წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს პრევენციული სერვისების ხარისხის უზრუნველსაყოფად გლობალური ფონდის დაფინანსებიდან სახელმწიფო მხარდაჭერაზე გადასვლის პროცესში. თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დამტკიცებული სტანდარტები ეხებოდეს არა მარტო მიწოდებული სერვისების რაოდენობას, მაგრამ ასევე ხარისხსა და საჭირო ფინანსურ თუ სხვა რესურსებს. ამდენად, იმისათვის, რომ ამ საკითხისადმი ყურადღება არ მოღუწდეს, თანადგომა მონაწილეობდა ეროვნულ დიალოგში, რომელიც წინ უძღვის აივ/შიდსის შემდგომ სტრატეგიული გეგმისა და გლობალურ ფონდში საქართველოს შემდგომი განაცხადის შემუშავებას.

1.3.4. გარე მხარდამჭერი სერვისების (როგორც მკურნალობის დამყოლობის, ისე მოსახლეობაში პრევენციული მუშაობის) ინტეგრირება ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამაში.

გარე მხარდამჭერი სერვისების მიწოდება ტუბერკულოზის მკურნალობის დამყოლობისათვის და საინფორმაციო აქტივობების განხორციელება ზოგად მოსახლეობაში. 2020 წლის განმავლობაში თანადგომამ ვერ მოახერხა ტუბერკულოზთან დაკავშირებული აქტივობებისათვის ფონდების მოძიება.

ამოცანა 1.4. სექსუალური და გენდერული ძალადობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშეწყობა

1.4.1. უფასო იურიდიული, სამედიცინო და ფსიქოსარეაბილიტაციო სერვისების მიწოდების ხელშეწყობა გენდერული ძალადობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლებისათვის. ფონდის „ღია საზოგადოება“ მიერ დაფინანსებული პროექტის „მოწყვლადი ქალების საინიციატივო ჯგუფის მხარდაჭერა“ ფარგლებში 2020 წლის განმავლობაში ძალადობის მსხვერპლ 60 ქალს შემდეგი ჯგუფებიდან: სექს-მუშაკები, ნარკომომხმარებელი ქალები, ტრანსგენდერი ქალები, შშმ და აივ დადებითი ქალები გაეწია სხვადასხვა სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური სერვისები. მათგან, 37 ბენეფიციარმა მიიღო გინეკოლოგის, 12-მა - ფსიქიატრის, 10-მა - ადიქტოლოგის და 15-მა - იურისტის მომსახურება.

1.4.2. მოწყვლადი ქალების უნარების გაძლიერება და მობილიზაცია მათი უფლებების გაუმჯობესებული ადვოკატირებისათვის. იმავე პროექტის ფარგლებში ჩატარდა 6 ტრენინგი „ადამიანის უფლებები და ძალადობა“, სადაც მონაწილეობა მიიღო 60-მა ქალმა მოწყვლადი ჯგუფებიდან. ასევე, რამდენადაც პროექტს სათავეში ქალთა საინიციატივო ჯგუფი ედგა, მათ შექმნეს დახურული ჯგუფი სოციალურ ქსელში, სადაც განიხილებოდა უსაფრთხოების, ადამიანის უფლებების, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხები. თანადგომას კონსულტანტი ასევე ჩართული იყო ამ დახურულ ჯგუფში და ატარებდა კონსულტირებას ან/და სთავაზობდა გარკვეულ რჩევებს საჭიროების შემთხვევაში. ამავე დროს, საინიციატივო ჯგუფის წევრებმა შეიმუშავეს და გაავრცელეს ბუკლეტი „ქალის უფლება“ (300 ცალი) ადამიანის უფლებებისა და ძალადობის საკითხებზე.

1.4.3. თანამშრომლობა ძალადობის პრევენციაზე მომუშავე და მასთან დაკავშირებული სერვისების მიმწოდებელ ორგანიზაციებთან გადამისამართების სისტემის შექმნისა და უკეთესი ფუნქციონირებისათვის. 2020 წელს თანადგომამ ასევე განახორციელა გლობალური ფონდის/დკსჯეც-ის მიერ დაფინანსებული პროექტი „აივ/ინფექცია შიდსის საკვანძო პოპულაციებთან მომუშავე სათემო და არასამთავრობო ორგანიზაციების პერსონალის გენდერული ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლება/სწავლება/ინფორმირება და ძალადობის ამ ფორმების პრევენციის, გამოვლენის და მათზე რეაგირების სამოქმედო გეგმის შემუშავება“. პროექტის მიზანი იყო გენდერული ძალადობის საკითხზე მოწყვლად ჯგუფებში ცნობიერების ამაღლების, ძალადობის შემთხვევების პრევენციის, მათი თავიდან აცილების ინდივიდუალური უნარ-ჩვევების განვითარების, ძალადობის ფაქტების გაცხადების და შესაბამისი სოციალური, ჯანდაცვის და ფსიქოლოგიური სერვისების ხელმისაწვდომობის

შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება. პროექტის ფარგლებში ჩატარებული აქტივობები მოცემულია ქვემოთ:

- გენდერულ ძალადობაზე სამუშაო ჯგუფის შექმნა ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით როგორც სამოქალაქო საზოგადოებიდან, ისე თემიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან;
- გენდერული ძალადობის პრევენციის და ძალადობის მსხვერპლთათვის კოორდინირებული საპასუხო დახმარების გაწევის სამოქმედო გეგმის შემუშავება, ამ გეგმის წარდგენა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოსათვის დამტკიცებისათვის;
- აივ პრევენციის სფეროში მომუშავე სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციებისათვის გენდერულ ძალადობაზე ტრენინგის კურიკულუმის მომზადება და საქართველოს მასშტაბით რამდენიმე ტრენინგის ჩატარება.

სტრატეგიული მიზანი 2

მოწყვლადი პოპულაციებისათვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ხარისხიანი სერვისების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა

ამოცანა 2.1. მდგრადი და რეგულარული ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისების უზრუნველყოფა მოწყვლადი პოპულაციებისათვის.

2.1.1. სარეაბილიტაციო ცენტრის ფუნქციონირების შენარჩუნება და გაუმჯობესება და პოპულარიზაცია

სარეაბილიტაციო ცენტრის ბრენდირება და წარმოჩენა სოციალურ მედიაში; შტატის ოპტიმიზაცია, რესტრუქტურირაცია და რე-ტრენინგი; მესამე სართულის რემონტი; მცირე ფერმის წამოწყება (მექათმეობა ან/და მეფუტკრეობა). პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სარეაბილიტაციო ცენტრის ფუნქციონირებაზე, ივლისამდე ის დაკეტილი იყო. გახსნის შემდეგ ცენტრმა მიიღო ექვსი ბენეფიციარი, რომლებმაც დაასრულეს რეაბილიტაციის პროგრამა (პროგრამის ხანგრძლივობა - 1-3 თვე). ლოქდაუნის პერიოდში თანადგომამ დაიქირავა ცენტრისათვის დამატებითი შტატი: მენეჯერი, ფსიქოლოგი და ღამის ინსტრუქტორი, ასევე, ერთი ღღის ინსტრუქტორი შეიცვალა. გარდა ამისა, ლოქდაუნის განმავლობაში (როგორც გაზაფხულზე, ისე შემოდგომაზე) ჩატარდა შტატის რე-ტრენინგი. 2020 წლის შემოდგომაზე თანადგომამ დაიქირავა ექსპერტი, რომელმაც შეიმუშავა 2021 წლის საკომუნიკაციო გეგმა რეაბილიტაციის ცენტრისათვის. კომუნიკაციის გეგმის განხორციელებისათვის ჩატარდა რამდენიმე მოსამზადებელი აქტივობა, მაგ. მომზადდა ვიდეო და ფოტომასალები ცენტრის სოციალური მედიის გვერდებისათვის (Facebook და Instagram). მიმდინარეობს ცენტრის ლოგოზე მუშაობა. ცენტრის შენობის მესამე სართული ნაწილობრივ გარემონტდა, ხოლო მეორე სართულზე ცხოვრებისათვის ოპტიმალური პირობები შეიქმნა. სამწუხაროდ, მიკროფერმის წამოწყება 2020 წელს შეუძლებელი აღმოჩნდა.



გრემის ცენტრის პერსონალი

2.1.2. სოციალური საწარმოს რეორგანიზაცია და მისი ფუნქციონირების გაუმჯობესება

სამუშაო ჯგუფის შექმნა საწარმოს კონცეფტუალიზაციისა და სამოქმედო გეგმის შედგენისათვის; სამოქმედო გეგმის განხორციელების დაწყება. კორონავირუსთან დაკავშირებული შეზღუდვებისა და ეკონომიკურ სექტორზე მათი ზემოქმედების გამო, თანადგომამ ვეღარ მოახერხა სოციალური საწარმოს შენარჩუნება და ზაფხულში ორგანიზაციის მენეჯმენტმა, გამგეობასთან კონსულტაციების შედეგად, გადაწყვიტა საწარმოს დახურვა.

2.1.3. მოწყვლადი პოპულაციებისათვის ფსიქოსოციალური, სამედიცინო და ფსიქოლოგიური სერვისების მიწოდების შენარჩუნება

თბილისში სოციალური ბიუროს აქტივობების გაგრძელება. პროექტის “აღმოვფხვრათ ხარვეზები” ფარგლებში თბილისში აგრძელებდა ფუნქციონირებას სოციალური ბიურო. 2020 წლის განმავლობაში 325 ბენეფიციარმა (255 კაცი და 70 ქალი) მიიღო სოციალური ბიუროს ბაზისური სერვისები. თანასწორი აქტივისტები ჩართულნი იყვნენ ახალი კლიენტების მოცვასა და მათ მოზიდვაში სოციალური ბიუროს პროგრამაში. ჯამში, შემთხვევის მართვის პროგრამაში ჩაერთო 246 კლიენტი (176 კაცი და 70 ქალი). “ქალთა კლუბი”, რომელიც ჩამოაყალიბეს პროექტის აქტივისტმა ქალებმა, აგრძელებდა აქტიურ მოღვაწეობას, ძირითადად ონლაინ რეჟიმში; ქალ ბენეფიციარებთან ჩატარდა 11 შეხვედრა. ასევე, სათემო მრჩეველთა საბჭო ჩართული იყო პროექტის “აღმოვფხვრათ ხარვეზები” აქტივობების დაგეგმვასა და მონიტორინგში.

ბენეფიციართა კმაყოფილების კვლევა. ანგარიშგების პერიოდში ჩატარდა კმაყოფილების კვლევა სოციალური ბიუროსა და სარეაბილიტაციო ცენტრის ბენეფიციარებს შორის (შეივსო 12 შეფასების ფორმა და ჩატარდა 5 ჩადრმავებული ინტერვიუ). ბენეფიციართა უმრავლესობა (90%) კმაყოფილია მიღებული სერვისებით.

ბენეფიციარების ციტატები:

თქვენი სერვისები ძალიან მნიშვნელოვანია ყველასათვის. განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც შეხება აქვს ამ საკითხებთან... იქნება ეს აბები თუ ნარკოტიკზე დამოკიდებულება, ალკოჰოლიზმი თუ რამე სხვა, ყველამ უნდა იცოდეს ამ ცენტრის შესახებ. თქვენზე მეტი ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ. ჩემთვის აბსოლუტურად დროული და აუცილებელი იყო აქ მოსვლა. თქვენს შესახებ აღრე არ ვიცოდი და ბედნიერი ვარ, აქ რომ მოვედი... ახლა გინეკოლოგთანაც კი შემიძლია, წავიდე.

ჩემთვის ქალთა კლუბის შეხვედრებში მონაწილეობა ძალიან განსაკუთრებული რამ იყო, რადგან გოგოები დამეხმარნენ თავისი ისტორიების გაზიარებით.. და მეც დავიწყე ჩემ თავზე, ჩემ მოხმარებაზე ლაპარაკი ... და ახლა ამაზე ლაპარაკი ჩემს ქალიშვილთანაც კი შემიძლია... ეს ფსიქოლოგიურად დამეხმარა.

2.1.4. დღის სარეაბილიტაციო ცენტრების გახსნა სოციალური ბიუროების ბაზაზე

მტატის რე-ტრენინგი: თანადგომამ დაიწყო მომზადება დღის სარეაბილიტაციო ცენტრის გახსნისათვის თბილისში. ლოქდაუნის გამოცხადებამდე ტრენინგი ჩატარდა რამდენიმე აქტივისტს სარისკო პოპულაციებიდან. მაგრამ, პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო თანადგომამ ვეღარ მოახერხა დღის სარეაბილიტაციო ცენტრების გახსნა.

ამოცანა 2.2. მდგრადი და რეგულარული ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისების ინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობა მოწყვლადი პოპულაციებისათვის

2.2.1. ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სახელმწიფო რესურსებით დაფინანსებისა და განხორციელების ადვოკატირება

რეაბილიტაციის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების ადვოკატირება: ფონდი ღია საზოგადოების მიერ დაფინანსებული პროექტის “სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული რეზიდენტული რეაბილიტაციის სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ნარკოტიკების მომხმარებლებისათვის საქართველოში” და “ადმოვფხვრათ ხარვეზები” პროექტის ერთობლივი ძალისხმევით თანადგომამ შექმნა ექსპერტების გუნდი, რომლებმაც იმუშავეს შემდეგ დოკუმენტებზე:

- ამბულატორიული და რეზიდენტული რეაბილიტაციის სტანდარტების სამაგიდო მიმოხილვა;
- ამბულატორიული და რეზიდენტული რეაბილიტაციის გაიდლაინები;
- ამბულატორიული და რეზიდენტული რეაბილიტაციის პროტოკოლები;
- ამბულატორიული და რეზიდენტული რეაბილიტაციის განფასება.

გარდა ამისა, ჩატარდა ნარკომანიის მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის დანახარჯების ანალიზი და შემუშავდა რეაბილიტაციის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების შესაძლო მექანიზმები (მაგ. ვაუჩერის სისტემა). 2021 წელს ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების პაკეტი

წარედგინება და შეტანილ იქნება ჯანდაცვის სამინისტროში რეაბილიტაციის სტანდარტის სახით დასამტკიცებლად. ამავე დროს, ფართო შეხვედრაა დაგეგმილი ანალიზის და შესაძლო დაფინანსების მექანიზმის წარდგენისათვის, რომელზეც ჯანდაცვის სამინისტროს წარედგინება წინადადება, რომ დაიწყოს რეზიდენტული რეაბილიტაციის პროგრამა სახელმწიფო დაფინანსებით.

2.2.2. ნარკომომხმარებლების რეაბილიტაციის ადვოკატირება დასჯისა და პატიმრობის ნაცვლად

ინდივიდუალური შემთხვევების მხარდაჭერა - მხარდაჭერის წერილების შეტანა შინაგან საქმეთა სამინისტროში დასჯის ნაცვლად რეაბილიტაციის გამოყენებასთან დაკავშირებით: 2020 წლის განმავლობაში პროექტის კოორდინატორს მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთან, რათა შეეთავაზებინა სარეაბილიტაციო სერვისები იმ პირებისათვის, ვისაც ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. თუმცა, სამინისტროდან სარეაბილიტაციო ცენტრში არც ერთი პირი არ იყო გადამისამართებული.

2.2.3. პენიტენციური და პრობაციის პერსონალის უნარების გაძლიერება პატიმრების, ყოფილი პატიმრებისა და პრობაციონერებისათვის ფსიქოსოციალური სერვისების ინსტიტუციონალიზაციის მიზნით.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის შტატის ტრენინგი. გეგმის მიხედვით, თანადგომამ ჩაატარა ტრენინგები პენიტენციური და პრობაციის შტატისათვის დამოკიდებულების მქონე ადამიანების რეაბილიტაციის საკითხებზე. ტრენინგის საკითხები იყო: რეაბილიტაციის სტანდარტების ზოგადი შინაარსი; ამბულატორიული და რეზიდენტული რეაბილიტაციის ძირითადი პრინციპები და სტანდარტები - საერთაშორისო რეკომენდაციები; ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკები რეაბილიტაციაში; რეაბილიტაციის ძირითადი ნაბიჯები; ძირითად დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობა – პრობლემები და გამოწვევები; რეაბილიტაციის ძირითადი ინტერვენციები. ჯამში, პენიტენციური და პრობაციის სამსახურებიდან რეაბილიტაციის სტანდარტებზე ტრენინგი 46 ადამიანს ჩაუტარდა. აღსანიშნავია, რომ ეს ტრენინგები ძალიან პოპულარული და მოთხოვნილია, და პენიტენციურმა დეპარტამენტმა თანადგომას მადლობა გადაუხადა მათი ჩატარებისათვის.

2.2.4. ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების სენსიტიზაცია და მათი ცნობიერების გაზრდა ნარკომომხმარებლის და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამების/სერვისების შესახებ

სარეაბილიტაციო სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ძალოვანი სტრუქტურებისათვის (სასამართლო, პოლიცია, პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო). თანადგომა გეგმავდა ძალოვან სტრუქტურებთან რამდენიმე შეხვედრის ჩატარებას სარეაბილიტაციო სერვისების წარდგენის მიზნით. თუმცა, პანდემიის გამო, შეხვედრების ჩატარება ვერ მოხერხდა.

რეაბილიტაციის შესახებ საინფორმაციო მასალების მომზადება, ბეჭდვა და გავრცელება ძალოვან სტრუქტურებში: საინფორმაციო მასალები (ბუკლეტები, 2500 ცალი) რეაბილიტაციის

სერვისების შესახებ დაიბეჭდა 2020 წელს პროექტის „ადმოვფხვრათ ხარვეზები“ ფარგლებში. პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო ამ მასალების გავრცელება გადაიდო მომდევნო წლისათვის.

სტრატეგიული მიზანი 3

ორგანიზაციის ფუნქციონირების მდგრადობის უზრუნველყოფა მართვის სისტემების გაუმჯობესების და ადექვატური და დივერსიფიცირებული დაფინანსების წყაროების გზით.

ამოცანა 3.1. ადამიანური, ტექნიკური და ადმინისტრაციული რესურსების მხარდაჭერა, შენარჩუნება და განვითარება

3.1.1. შტატის კვალიფიკაციის ზრდა და განვითარება ტრენინგებში, საერთაშორისო ღონისძიებებსა და კონფერენციებში მონაწილეობის გზით. თანადგომას შტატი აგრძელებდა არსებული შესაძლებლობების გამოყენებას, რათა გაეძლიერებინა თავისი უნარები შიდა თუ გარე ტრენინგებში/კონფერენციებში/სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობის გზით. თუმცა, პანდემიის გამო, შტატის რაოდენობა, ვინც რეალურად მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში, დაგეგმილზე ნაკლები აღმოჩნდა. ჯამში, თანადგომას 15-მა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა რამდენიმე რეგიონულ და საერთაშორისო ღონისძიებაში:

- აივ-ისა და ვირუსული ჰეპატიტების იმპლემენტაციური მეცნიერების რეგიონული სამუშაო შეხვედრა აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, ორგანიზებული ჯანმოს ევროპის რეგიონული ოფისის მიერ;
- სამუშაო შეხვედრა ქიმსექსთან დაკავშირებული ინტერვენციების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების საკითხებზე, ორგანიზებული AIDS Action Europe-ის მიერ;
- კონფერენცია “წამალდამოკიდებული პატიმრების რეაბილიტაცია: რატომ უნდა გადელვებდეთ ეს?”, ორგანიზებული პომპიდუს ჯგუფის მიერ;
- შიდსის 23-ე საერთაშორისო კონფერენცია;
- ტრენინგი „სექს-სამუშაო და აივ ინფექცია“, ორგანიზებული ICRSE-ს (ევროპის სექს-მუშაკების უფლებების საერთაშორისო კომიტეტი) მიერ;
- შიდა ტრენინგი თვისებრივი კვლევის დაგეგმვისა და ჩატარების საკითხებზე რეგიონული ოფისების შტატისათვის;
- შიდა ტრენინგი თვისებრივი კვლევის მონაცემთა დამუშავების საკითხებზე;
- შიდა ტრენინგი გრემის სარეაბილიტაციო ცენტრის შტატისათვის.



კონფერენცია “წამალდამოკიდებული პატიმრების რეაბილიტაცია”

3.1.2. სტაჟირების პროგრამის გაგრძელება მოხალისეების რეკრუტირებისა და შესაძლო ახალი კადრების რესურსის შესაქმნელად. 2020 წლის განმავლობაში თანადგომა აგრძელებდა სტაჟირების პროგრამას 2 უნივერსიტეტის - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის - სტუდენტებისათვის. ჯამში, თანადგომაში პრაქტიკა გაიარა 12-მა სტაჟიორმა, თუმცა, ლოქდაუნის გამო, ლექციები და შეხვედრები თანადგომას შტატთან ჩატარდა ძირითადად Zoom ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.

3.1.3. ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და შენახვა: 2020 წელს თანადგომამ ჩაატარა გრემის სარეაბილიტაციო ცენტრის მცირე რემონტი. გარდა ამისა, შეიძინა საოფისე აღჭურვილობა და პროგრამები მონაცემთა დამუშავებისათვის, მაგ. Atlas TI, SPSS, ასევე Zoom ონლაინ საკომუნიკაციო პროგრამის ლიცენზია.

3.1.4. ორგანიზაციის ადმინისტრაციული რესურსების მხარდაჭერა: ისევე, როგორ წინა წლებში, 2020 წელსაც თანადგომამ ადმინისტრაციული ხარჯების 25%-მდე ინსტიტუციური დაფინანსებიდან დაფარა.

ამოცანა 3.2. მართვის სისტემების განვითარება

3.2.1. ორგანიზაციის შესრულების მონიტორინგი/შეფასება

შტატის შესრულების რეგულარული მონიტორინგისა და შეფასების ჩატარება. 2020 წელს, COVID-19-თან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, თანადგომას მენეჯმენტმა ვერ მოახერხა შტატის შესრულების რეგულარული შეფასების ჩატარება, თუმცა, წლის განმავლობაში მიმდინარე ყველა პროექტის ფარგლებში ჩატარდა მონიტორინგი ონლაინ საკომუნიკაციო პლატფორმების გამოყენებით.

3.2.2. კონსულტაციები/ტრენინგები ადმინისტრაციულ, ფინანსურ, იურიდიულ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, გარემო მოთხოვნებიდან გამომდინარე.

განახლებული ფინანსური პოლიტიკისა და პროცედურების სახელმძღვანელოს დასრულება. 2020 წელს, ფინანსური პროცედურების გადახედვის პროცესის ფარგლებში, თანადგომას მენეჯმენტმა გადაწყვიტა, შეეცავა ანგარიშთა გეგმა, რათა ის გამხდარიყო უფრო დეტალური.

ამ ცვლილების განხორციელების მიზნით შესყიდულ იქნა საბუღალტრო პროგრამა „ბალანსი“, რომელიც გაუმჯობესებული ფინანსური ანგარიშგების შესაძლებლობას იძლევა. ამ პროგრამის გაშვება დაიწყო 2020 წლის ნოემბერში. აღნიშნულ ცვლილებებზე დაყრდნობით, შემუშავების პროცესშია საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის პროცედურები, თუმცა, ვერ მოხერხდა მათი დასრულება. როგორც კი საბუღალტრო პროგრამის სრული დანერგვა მოხდება, დასრუდება და დამტკიცდება შესაბამისი საბუღალტრო აღრიცხვის პროცედურები.

სუბ-გრანტირების პროცედურების შემუშავება. თანადგომას უკვე დაუგროვდა ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელების გამოცდილება, რომლებშიც რამდენიმე სუბ-გრანტიორია ჩართული. მიუხედავად ამისა, ორგანიზაციაში ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობდა კონკრეტული პროცედურები. 2020 წელს დაგეგმილი იყო სუბ-გრანტირების პროცედურების დოკუმენტის შემუშავება, დასრულება და გამგეობისათვის წარდგენა დასამტკიცებლად. მაგრამ პანდემიამ გავლენა მოახდინა თანადგომას მუშაობის ამ მიმართულებასაც. დოკუმენტის სამუშაო ვერსია შემუშავდა, მაგრამ საჭიროებს გადახედვას და დასრულებას მმართველი გუნდის მიერ, ვიდრე წარედგინება გამგეობას. დოკუმენტის დასრულება და დამტკიცება გადაიდო 2021 წლისათვის.

ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით დამატებით განხორციელებული აქტივობები:

თანადგომას ბენეფიციარების მონაცემთა ბაზის შექმნა. ბენეფიციარების ერთიანი სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზა შეიქმნა 2019 წელს გლობალური ფონდის პროგრამის ფარგლებში. თანადგომამ, ისევე, როგორც გლობალური ფონდის სხვა სუბ-რეციპიენტებმა, დაიწყო მისი გამოყენება, მაგრამ რომ დკსჯეც-ის მართვაში მყოფ ბაზას აღმოაჩნდა გარკვეული ხარვეზები. შეუძლებელი იყო მონაცემთა მიდევნება, რაც, თავის მხრივ, ართულებს თანადგომას როგორც შიდა (პროგრამული და ორგანიზაციული წლიური ანგარიშები), ასევე საერთაშორისო (მაგ. შიდსის მონიტორინგის გლობალური ანგარიში) ანგარიშგებას. შესაბამისად, გადაწყდა, რომ თანადგომა გააგრძელებდა მუშაობას საკუთარ მონაცემთა ბაზაზე, რომელზე მუშაობაც შეჩერდა გლობალური ფონდის მონაცემთა ბაზის შემუშავების გამო. 2020 წლის ბოლოსათვის თანადგომას სოციალურმა მუშაკებმა პილოტურ რეჟიმში გამოიყენეს ბაზა, ხოლო 2021 წელს, დახვეწის შემდეგ, ის გამოყენებულ იქნება, როგორც გარანტია იმისა, რომ მონაცემები არ დაიკარგება, არ დაზიანდება, და ანგარიშგება იქნება დროული და მარტივი.

ახალი პოლიტიკების დამტკიცება. 2020 წელს თანადგომას გამგეობამ დაამტკიცა ტრეფიკინგის საწინააღმდეგო და სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის საწინააღმდეგო პოლიტიკები. დოკუმენტები გაზიარდა ორგანიზაციის შტატთან და გამოქვეყნდა ორგანიზაციის ვებგვერდზე: <https://tanadgoma.ge/wp-content/uploads/2018/10/trephikingis-satsinaaghmdego-politika.pdf> https://tanadgoma.ge/wp-content/uploads/2018/10/seqs-shevitsroebis-politika_2020.pdf

ფონდების მოძიება

ორგანიზაციის მდგრადობის და დაფინანსების დივერსიფიკაციის მიზნით, 2020 წლის განმავლობაში თანადგომას მენეჯმენტი აქტიურად ეწეოდა ფონდების მოძიებას. ჯამში,

სხვადასხვა დონორს წარედგინა 16 განაცხადი ან კონცეფცია, მათგან 7 (43.7%) წარმატებული აღმოჩნდა. თანადგომას ორი ახალი დონორი გაუჩნდა: WEEPI – აივ-ის, ვირუსული ჰეპატიტებისა და ტუბერკულოზის დასავლეთ-აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ინიციატივა და ელტონ ჯონის შიდსის ფონდი.

COVID-19-ის პანდემიის გავლენა თანადგომას მუშაობაზე

ორგანიზაციული პასუხი პანდემიაზე

პანდემიამ საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა თანადგომას მუშაობაზე. 2020 წლის განმავლობაში ე.წ. ლოქდაუნი ორჯერ გამოცხადდა, განსხვავებული შეზღუდვებით, მათ შორის იყო საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი. პირველი ლოქდაუნის დაწყებიდან მოკლე პერიოდში (მარტი, 2020) თანადგომამ შეიმუშავა და დაამტკიცა პანდემიის პერიოდში ფუნქციონირების სპეციალური პროტოკოლი, რომელიც მკაცრად იყო დაცული. შტატის დიდი ნაწილი სახლიდან მუშაობდა, ხოლო რამდენიმე ადამიანი კი - ოფისში, სხვადასხვა ცვლაში. გარდა ამისა, რადგანაც თანადგომა აწვდის სერვისებს განსაკუთრებით მოწყვლად პოპულაციებს, როგორებიცაა სექს-მუშაკები, მსმ, ტრანსგენდერები და სხვა, სერვისების სრულად არ შეწყვეტილა. შტატისა და ბენეფიციარების დაცვის მიზნით თანადგომა იყენებდა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს წინა ხაზის სერვისის მიმწოდებლებისათვის როგორც ოფისებში, ისე გასვლითი საშუალებების დროს სერვისის მიწოდებისას.

ამავე დროს, თანადგომამ მოახერხა COVID-თან დაკავშირებული პრევენციული თუ მხარდაჭერის ზომების ინკორპორირება ზოგიერთ მიმდინარე პროექტში, და ასევე მოიპოვა დაფინანსება რამდენიმე პროექტისათვის უშუალოდ კორონავირუსის საკითხებზე.

2020 წელს COVID-19-ის საპასუხოდ განხორციელებული პროექტები

1. პროექტი “COVID-19-თან დაკავშირებული მოწყვლადობის, რისკებისა და საჭიროებების სწრაფი შეფასება მესამე ქვეყნის მოქალაქეებს შორის საქართველოში”

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული პროექტის მიზანი იყო COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული რისკებისა და მოწყვლადობის შეფასება ახლად წამოჭრილი და ჰუმანიტარული საჭიროებების შესწავლის გზით მესამე ქვეყნის მოქალაქეებს შორის საქართველოში, დახმარების მომავალი პროგრამირების საფუძვლის შესაქმნელად. თანადგომა მონაწილეობდა შეფასებაში რამდენიმე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად და ჩაატარა 22 ინტერვიუ მიგრანტებთან თბილისსა და ბათუმში (მსმ, სექს-მუშაკები, სათემო ინფორმატორები).

შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოაცხადა მცირე პროექტების საგრანტო კონკურსი, და თანადგომა გახდა მცირე გრანტის ერთ-ერთი მიმღები.

2. პროექტი “მიგრანტი სექს-მუშაკების მხარდაჭერა აჭარის რეგიონში”

პროექტის მიზანი იყო დაუყოვნებელი საინფორმაციო, სოციალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის გაწევა მიგრანტი სექს-მუშაკი ქალებისათვის აჭარის რეგიონში COVID-19-ის პანდემიის პირობებში. განხორციელებული აქტივობები მოიცავდა მიგრანტი სექს-მუშაკების ადგილმდებარეობის და მათი რაოდენობის რუკაზე დატანას, ჯანმრთელობისა და სოციალურ სერვისებზე მათი საჭიროებების სიღრმისეულ შესწავლას, განსაკუთრებით პანდემიასთან დაკავშირებით, მათი ცნობიერების ამაღლებას არსებულ ჯანმრთელობისა და სოციალურ სერვისებთან და მიგრანტების უფლებებთან მიმართებაში საინფორმაციო ბროშურებისა და ტრენინგების მეშვეობით, და ფსიქოსოციალური მხარდაჭერის გაწევა შემთხვევის მართვის მეთოდოლოგიის გამოყენებით. შედეგად, 40 მიგრანტი სექს-მუშაკი ქალი გაეწია ფსიქოსოციალური მხარდაჭერა შემთხვევის მართვის მეთოდოლოგიის გამოყენებით; 59 მიგრანტი სექს-მუშაკი ქალი იქნა მოცული სავსელ სამუშაოების დროს და ჩაერთო შემთხვევის მართვის პროგრამაში. გარდა ამისა, ჩატარდა სამი ერთდღიანი ტრენინგი, სადაც მონაწილეობა მიიღო 30 მიგრანტმა სექს-მუშაკმა. მათი ცოდნის დონე გაიზომა ტრენინგის წინ და შემდგომ სპეციალური კითხვარის მეშვეობით და გამოვლინდა ცნობიერების დონის 20%-იანი ზრდა.

3. პროექტი „აივ ინფექცია/შიდსის საკვანძო პოპულაციებისათვის, აივ ინფექცია/შიდსით და ტუბერკულოზით დაავადებული პირებისთვის სამედიცინო, პრევენციული და სოციალური სერვისების მიწოდების მდგრადობის უზრუნველყოფა COVID-19 პანდემიის პირობებში“

პროექტი დააფინანსა გლობალურმა ფონდმა და დაავადებათა კონტროლის ცენტრმა, და მოიცავდა შემდეგ აქტივობებს: ა) აივ/შიდსის საკვანძო პოპულაციების (ნარკოტიკების მომხმარებლები, სექს-მუშაკები, მსმ და ტრანსგენდერები), აივ-შიდსით და ტუბერკულოზით დაავადებული პირების საჭიროებების შეფასება COVID-19-ის პირობებში თვისებრივი კვლევის მეშვეობით; ბ) სერვისების რუკის შექმნა და COVID-19-თან დაკავშირებული საკომუნიკაციო გეგმის შემუშავება სამიზნე პოპულაციებისათვის.

4. COVID-19-ის პრევენციის პროექტი დკსჯეც-თან თანამშრომლობით

2020 წლის ოქტომბერში დაავადებათა კონტროლის ცენტრის წარმომადგენლებმა მიმართეს თანადგომას თხოვნით, გაეწია დახმარება კორონავირუსის პრევენციული აქტივობების განხორციელების კუთხით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. თანადგომამ მიიღო შეთავაზება და მოამზადა და განახორციელა ერთობლივი პროექტი. პროექტის მიზანი იყო ქალთა კონსულტაციების შტატის ტრენინგის ჩატარება COVID-19-ის პრევენციის საკითხებზე. თანადგომას და დაავადებათა კონტროლის ცენტრის წარმომადგენლებმა ერთობლივად შეიმუშავეს ტრენინგის სახელმძღვანელო, საინფორმაციო მასალები და უსაფრთხოების რეგულაციები ტრენინგის მონაწილეთათვის. ჯამში ჩატარდა 8 ნახევარდღიანი ტრენინგი ქალთა კონსულტაციების პერსონალისათვის თეთრიწყაროს, წალკის, ახალქალაქისა და ბოლნისის რაიონებში. სულ 38 პირმა მიიღო ტრენინგებში მონაწილეობა.



ტრენინგი COVID-19-ის საკითხებზე ქალთა კონსულტაციების თანამშრომლებისათვის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში

5. პროექტი “მოწყვლადი ქალების საინიციატივო ჯგუფის მხარდაჭერა”

ამ პროექტის ფარგლებში, რომელიც ფონდმა „ღია საზოგადოება“ დააფინანსა, თანადგომას ჰქონდა დანაზოგი და თხოვნით მიმართა დონორს, რომ გამოეყენებინა ეს შესაძლებლობა ყველაზე მეტად მოწყვლადი სექს-მუშაკი და ნარკომომხმარებელი ქალებისათვის - მათთვის, ვინც ყველაზე მეტად დაზარალდა პანდემიის გამო - სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მხარდაჭერის აღმოჩენის მიზნით. დონორისგან თანხმობის მიღების შემდგომ, 30-მა შერჩეულმა ბენეფიციარმა მიიღო ჰუმანიტარული დახმარების პაკეტი - საკვები, ჰიგიენის და დეზინფექციის პროდუქტები.

6. პროექტი “აივ-პრევენციული ინტერვენციების გაძლიერება სარისკო პოპულაციებში”

აივ/შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული ამ პროექტის ფარგლებში თანადგომას მიეცა შესაძლებლობა, სამიზნე პოპულაციებისათვის (მსმ და სექს-მუშაკები) განკუთვნილ პრევენციულ პაკეტში დაემატებინა სამედიცინო ნიღბები და საინფორმაციო მასალები COVID-19-ის პრევენციის შესახებ.

პარტნიორობა და ქსელური მუშაობა

2020 წლის განმავლობაში თანადგომამ შეინარჩუნა წევრობა მრავალ ეროვნულ და რეგიონულ ქსელში თუ კოალიციაში, ისევე, როგორც საერთაშორისო პლატფორმასა და ქსელში, როგორებიცაა ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი, ქსელი „სწავლა ცვლილებისათვის“, ბავშვთა და ახალგაზრდათა კეთილდღეობის საქართველოს კოალიცია, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების კოალიცია, პოლიტიკისა და ადვოკატირების საბჭო, რომელიც ფუნქციონირებს აივ/შიდსისა და ტუბერკულოზი ქვეყნის საკოორდინაციო მექანიზმის ფარგლებში, AIDS Action Europe, მამაკაცთა ჯანმრთელობის ევრაზიის კოალიცია (ECOM), აივ/შიდსის სამხრეთ კავკასიის ქსელი (SCN), ზიანის შემცირების ევრაზიის ასოციაცია (EHRA), EuroTEST, ევრაზიის საკვანძო პოპულაციების ჯანმრთელობის ქსელი (EKHN), სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის სათემო ქსელი აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის საკითხებზე, ჯანმრთელობის ადვოკატირების კოალიცია, და სხვ.

გარდა ამისა, 2020 წელს ორგანიზაცია შეუერთდა პლატფორმას, რომელიც მუშაობს ქალთა და შშმ ქალთა საკითხებზე. პლატფორმა ინიცირებულია გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და გაეროს

მოსახლეობის ფონდის მიერ, და თანადგომა მიწვეული იყო, როგორც სრჯუ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია. ასევე, თანადგომას აღმასრულებელი დირექტორი მიიწვიეს ნარკოტიკების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის საკონსულტაციო განყოფილების წევრად.

ორგანიზაციის 2020 წლის ფინანსური ანგარიში

ანგარიშგება საქმიანობის შედეგების შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშო წლისათვის

თანხები მოცემულია ეროვნულ ვალუტა ლარში	31.12.2020 (ლარი)
შემოსავლები	
დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული შემოსავლები	1 273 961
ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები	1 178 356
თანადგომას სოციალური საწარმოდან მიღებული შემოსავლები	9 203
საწევრო გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები	340
დონაციიდან მიღებული შემოსავლები	41
სხვა არა ფულადი შემოსავლები	-
სულ შემოსავლები	2 461 901
ხარჯები	
პროგრამული/ადმინისტრაციული ხარჯები	(2 462 259)
თანადგომას სოციალური საწარმოს ხარჯები	(537)
ცვეთის/ამორტიზაციის დანახარჯები	(24 694)
სულ ხარჯები	(2 487 490)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა პროფიტი/დეფიციტი	(25 589)
შემოსავლები და ხარჯები ფინანსური აქტივობებიდან	
არასაოპერაციო ხარჯები	-
არასაოპერაციო შემოსავლები	35 965
უცხოური ვალუტის კურსის შედეგად მიღებული მოგება/ზარალი	-
სულ შემოსავლები და ხარჯები ფინანსური აქტივობებიდან	35 965
შემოსავლის მიტობა ხარჯებზე/დეფიციტი მოგების ბაღასახადამდე	10 376
მოგების გასახადი	-
შემოსავლის მიტობა ხარჯებზე/დეფიციტი მოგების ბაღასახადის შემდეგ	10 376

შემოსავლები

	31-Dec-20	
	(ლარი)	%
დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული შემოსავლები		
The Swedish Association for Sexuality Education (RFSU)	525 938	21.4%
Swedish International Development Cooperation Agency (SIDA)	19 810	0.8%
United Nations Population Fund (UNFPA)	147 310	6.0%
NNLE Open Society Georgia Foundation	49 142	2.0%
Grand Challenges Canada	307 789	12.5%
Western-Eastern European Partnership Initiative on HIV, Viral Hepatitis (WEEPI)	17 775	0.7%
სულ დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული შემოსავლები	1 273 961	51.7%
ეკონომიკური საქმიანობიდან და თანადგომას სოციალური საწარმოდან მიღებული შემოსავალი		
ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		
¹ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	1 178 356	47.9%
სულ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	1 178 356	47.9%
თანადგომას სოციალური საწარმოდან მიღებული შემოსავალი		
იურიდიული პირებისგან მიღებული შემოსავალი	8 822	0.4%
ფიზიკური პირებისგან მიღებული შემოსავალი	381	0.02%
სულ ეკონომიკური საქმიანობიდან და თანადგომას სოციალური საწარმოდან მიღებული შემოსავალი	9 203	0.4%
საწევრო გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი	340	0.01%
შემოწირულობებიდან მიღებული შემოსავლები	41	0.00%
სულ შემოსავლები	2 461 901	100.0%

¹ შენიშვნა: აღნიშნული შემოსავალი წარმოადგენს აივ/შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი გრანტიდან მიღებულ შემოსავალს, თუმცა, რადგან გლობალური ფონდის გრანტს ქვეყანაში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი განაგებს, "თანადგომას", როგორც განმახორციელებელ ორგანიზაციას, ეს შემოსავალი მიღებული აქვს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების მიზნებიდან გამომდინარე, ეს შემოსავალი განიხილება როგორც ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშო წლისათვის**

თანხები მოცემულია ეროვნულ ვალუტა ლარში

31-12-20
(ლარი)

აქტივები	
გრძელვადიანი აქტივები	
ძირითადი საშუალებები	318 607
არამატერიალური აქტივები	1 146
სულ გრძელვადიანი აქტივები	319 753
მოკლევადიანი აქტივები	
წინასწარ გადახდილი გადასახადები	122 672
მარაგები	2 344
დებიტორული დავალიანება	1 141 272
დონორების დებიტორული დავალიანება	1 650 144
წინასწარ გადახდილი ხარჯები	
ფული და მისი ექვივალენტები	271 196
სულ მიმდინარე აქტივები	3 187 628
სულ აქტივები	3 507 381
ვალდებულებები და აკუმულირებული ფონდები	
აკუმულირებული ფონდები	
აკუმულირებული ფონდები	480 931
სულ აკუმულირებული ფონდები	480 931
ვალდებულებები	
გრძელვადიანი ვალდებულებები	
გადაღებული შემოსავალი	1 824 393
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	1 824 393
მიმდინარე ვალდებულებები	
კრედიტორული დავალიანება	1 202 057
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1 202 057
სულ ვალდებულებები	3 026 450
სულ ვალდებულებები და აკუმულირებული ფონდები	3 507 381